# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ორშაბათი, 8 დეკემბერი  1997 №158 (523)  ფასი 30 თეთრი

## ტორპედო იმედს არ კარგავს

**გუშინ ქუთაისის მწერალთა სახლში „ტორპედოს“ ხელმძღვანელთა და ფეხბურთელთა გუნდის ქომაგებთან ადრე დანაპირები შეხვედრა გაიმართა. ამ ღონისძიების გახსნა კლუბის პრეს-მდივანმა იკისრა და... შესავალში „სარბიელის“ და „რეზონანსის“ ჟურნალისტები გვარიანად გამოგვლანძღა, აქაოდა, გუნდის არც თუ წარმატებულ თამაშში სხვასთან ერთად თქვენც მიგიძღვით ბრალიო(?!). ცოტაც და „ტორპედოს“ პრეზიდენტი ბესო ჯიქიაც მოგვდგა: ჯერ არაქუთაისელობა დაგვწამა, მერე — ირონიანარევი წერილებით თუ სათაურებით ტორპედოელებს გულს რად უტეხთო. გვირჩია, წერის მანერა შეიცვალეთო...**



[illegible] ფოტო

**რისი იმედი აქვს „ტორპედოს“ პრეზიდენტს?**

„ტორპედოს“ სხვა პრობლემებიც თავსაყრელად ჰქონია. ეს ჯიქიას საუბრიდანვე გახდა ნათელი. კლუბის დამფუძნებლები — ქალაქის მერია, „სიგმაბანკი“ და მისი პარტნიორი შპს „იმერეთი-იმპექსი“ საერთო საქმისადმი პასუხისმგებლობას ერთნაირად როდი გრძნობენ. მთავარი ის არის, რომ დღემდე კლუბის დაფინანსების ძირითადი სიმძიმე ბოლო ორს აწევს. მერიის მხრიდან ბევრი საკითხი მოუწესრიგებელია და საჭიროა საქმეში ბოლომდე გარკვევა.

სათქმელი „ტორპედოს“ ყოფილმა და ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელებმაც თქვეს. სოსო ფრუიძემ პირველ წრეში გუნდის მეექვსე ადგილზე გასვლის მიზეზად სეზონისთვის სამზადისში დაშვებული შეცდომები მიიჩნია. კერძოდ ის, რომ გუნდს ხეირიანი შეკრება არ გაუვლია, თანაც უეფას თასზე და ინტერტოტოზე მოთამაშე „კოლხეთში“ და „მერანში“ მივლინებული ხუთი ფეხბურთელი, ფაქტობრივად, მოუმზადებელი და ტრავმირებულნი დაუბრუნდა. მოკლედ, გუნდს შეთამაშება აკლდაო.

„ტორპედოში“ სექტემბერში მისულმა სერგო კუტივაძემ თქვა, არ მინდა მოთამაშეებს ჩრდილი მივაყენო, მაგრამ ზოგი მათგანი ჩვენს მოთხოვნებს ვერ ასრულებს. აუცილებელია გუნდის გაძლიერება და სერიოზული მუშაობა. როგორ ვთამაშობთ, ჩვენზე უკეთ არავინ იცის და შეცდომებსაც გამოვასწორებთ. ჩვენ გვსურს არა სეზონური, არამედ სოლიდური, სტაბილური გუნდის შექმნა, ამისთვის დროა საჭირო, რამდენიმე ფეხბურთელი აუცილებლად უნდა დავიმატოთ დაცვისა და ნახევარდაცვის გასაძლიერებლად, თავდასხმამ, ვფიქრობ, ისედაც უნდა შეძლოსო.

შეკითხვებზე პასუხის გაცემა მეტწილად მაინც კლუბის პრეზიდენტს უხდებოდა. მან დაასახელა ტრანსფერზე წარდგენილი ექვსი ფეხბურთელი — ძმები გიგიაძეები, ირაკლი ხუჯაძე, დათო ჯანაშია, ნოზაძე, ჯინჭარაძე. რაც შეეხება სხვებს — ქებაძეს რამდენიმე გუნდი იწვევს, მაგრამ იგი, ალბათ, მაინც „ტორპედოში“ დარჩება. შესაძლოა, ქუთაისში სანქტ-პეტერბურგს გადახვეწილი არჩილ ჩხაბერიძე დაბრუნდეს. მცველი შეთავაზებულ პირობებზე თანახმაა და ყველაფერი რუსული გუნდის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული. რა ბედი ეწევა მიხეილ აშვეთიას? ამ კითხვაზე პასუხი ასეთი გახლდათ: არ არის გამორიცხული, იგი ისევ ექვსი თვით განათხოვრდეს. ერთი ვარიანტი მისი თბილისის „დინამოში“ გადასვლაა, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ კი „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრში კობიაშვილს და გახოკიძეს დაიბრუნებს, თუ მართლაც ძლიერი გუნდის გაკეთება სურს.

ჯიქიას ბოლო სიტყვებმა კი კვლავაც ოპტიმისტურად გაიჟღერა. „ტორპედოს“ ჯერ არაფერი დაუკარგავს, გაისად უეფაზე ითამაშებსო. ღმერთმა ქნას!

**იუზა ქაციტაძე**

## გრასჰოპერმა დერბი და ეტაპი მოიგო

უკვე მივეჩვიეთ, რომ ჩვენი შვეიცარიელი ლეგიონერები „გრასჰოპერში“ კარგი თამაშით გვახარებენ. ცოტა ხნის წინ იყო ციურიხულ კლუბს მთავარი მწვრთნელი რომ გამოაკლდა და „ტოტენჰემს“ მიაშურა. ამასობაში ყაველას, ნემსოს და კომპანიის გაწვრთნა „გრასჰოპერის“ მეორე მწვრთნელმა ითავა, ახლახან კი ახალი თავკაციც დაამტკიცეს — შვეიცარიის ნაკრების მოხსნილი დამრიგებელი როლფ ფრინგერი. აქამდე კალიებმა სტუმრად „ბაზელთან“ წააგეს და გუშინდლამდე „ლოზანას“ ქულითა უსწრებდნენ. წუხელ კი ციურიხულ დერბიში 3:1 ჩვენებურთა კლუბმა იმარჯვა და „არაუსთან“ დამარცხებულ „ლოზანას“ კვლავ 4 ქულით გაუსწრო.

ბუნებრივია, გვსურდა სამიდან ერთი გოლი მაინც ერთ-ერთი ქართველის გატანილი გამომდგარიყო, მაგრამ მიხეილ ყაველაშვილმა გაგვაწბილა:

— გოლი არცერთს გაგვიტანია, თუმცა ორი პასი კი ჩვენი იყო. ჯერ ესპოზიტომ დაასრულა ჩემი წამოწყებული შეტევა, მერე კი ნემსომ მისცა თურქილმაზს ძალიან კარგი პასი, რომელმაც ბურთი ძელს გაარტყა, მაგრამ მოლდოვანის დამატებული გავიდა. პირველი გოლი თავად თურქილმაზმა გაიტანა. მეტოქემ კი ბოლოსღა გაქვითა.

**— ბაზელში რა მოგივიდათ?**

— ხდება ხოლმე. ვერ მოვიგეთ, თუმცა კი არც წასაგები გვქონდა რამე. ეგ იყო, მეტოქემ პირველად შეკრიბა თავისი საუკეთესო შემადგენლობა და ერთადერთი გოლი სწორედ ჩვენი კლუბიდან გაშვებულმა სუბიატმა გაგვიტანა.

**— „ციურიხთან“ ახალი მწვრთნელის თავკაცობით პირველად ითამაშეთ?**

— არა. ფრინგერი მხოლოდ იანვრიდან შეუდგება მუშაობას. მართალია, იგი პარასკევს დაამტკიცეს, მაგრამ პირველი ეტაპი მეორე მწვრთნელმა ჩაამთავრა.

**— ფრინგერმა როგორი შთაბეჭდილება დასტოვა?**

— ჯერ არც შევხვედრია.

**— „ციურიხიც“ მეორე ეტაპზე გავიდა. გაისადაც ორი დერბი გელით...**

— ეს მართლაც ძალიან პრინციპული მატჩი იყო და მეტად საჭირო გამარჯვებაც მოვიპოვეთ. სტადიონი გადატენილი გახლდათ, რადგან ამ თამაშს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც „იუნაიტედ“ — „სიტისას“ — მანჩესტერში.

**— თბილისში როდის დაბრუნდებით?**

— შუა დეკემბრისთვის. 3 იანვრამდე დავისვენებთ, მერე კი ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას დავიწყებთ, რომელიც რვა საუკეთესო გუნდის მონაწილეობით მარტში განახლდება.

**ვახტანგ გზირაძე**



[illegible] ფოტო

**მიხეილ ყაველაშვილმა თავისი გუნდი და თამაში იპოვა**

### შვეიცარია

**22 ტური. არაუ — ლოზანა 4:2; გრასჰოპერი — ციურიხი 3:1; ლუცერნი — ბაზელი 0:1; სერვეტი — კარუჟი 5:1; სენტ გალენი — სიონი 0:0; ქსამაქსი — კრინსი 4:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 22 | 14 | 4 | 4 | 59:23 | 46 |
| ლოზანა | 22 | 12 | 6 | 4 | 45:27 | 42 |
| სერვეტი | 22 | 11 | 6 | 5 | 45:33 | 39 |
| არაუ | 22 | 10 | 5 | 7 | 38:31 | 35 |
| სენტ გალენი | 22 | 7 | 9 | 6 | 38:34 | 30 |
| ციურიხი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:28 | 30 |
| სიონი | 22 | 7 | 9 | 6 | 30:27 | 30 |
| ლუცერნი | 22 | 7 | 8 | 7 | 26:28 | 29 |
| ქსამაქსი | 22 | 7 | 5 | 10 | 37:39 | 26 |
| კრინსი | 22 | 5 | 7 | 10 | 23:41 | 22 |
| ბაზელი | 22 | 5 | 4 | 13 | 28:46 | 19 |
| კარუჟი | 22 | 1 | 6 | 15 | 20:63 | 9 |

## ჰორიზონტზეა ევროპა

გერმანია, იტალია, ესპანეთი, ინგლისი, ნორვეგია, შოტლანდია, იუგოსლავია, რუმინეთი და რუსეთი. აი, იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ნაკრები გუნდებიც 18 იანვარს ბრიუსელში, ევროპის მომავალი ჩემპიონატის წილისყრაზე განთესილნი იქნებიან. შესაძლოა, მავანი კენჭისყრათა მოზღვავებამ დააბნიოს, ამიტომ განვმარტავთ: საუბარია ევროპის იმ პირველობაზე, რომლის ფინალური ეტაპიც 2000 წელს ბელგიასა და ჰოლანდიაში გაიმართება. ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრება გაისად, 1998 წელს დაიწყება და მასში საქართველოც მიიღებს მონაწილეობას. ამრიგად, იმ ცხრა გუნდიდან, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, რომელიმე ჩვენი ნაკრების მეტოქე გახდება.

უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ დაადგინა მეორე ნომრებად განთესილთა ვინაობაც, ასე რომ ზემოხსენებულთა გარდა საქართველოს მოწინააღმდეგე შეიქნება საფრანგეთი, ბულგარეთი, დანია, ხორვატია, პორტუგალია, ავსტრია, ჩეხეთი, თურქეთი ან საბერძნეთი.

სანამ იმის გარჩევას დავიწყებდეთ, ვინ გვაწყობს და ვინ არა, შესარჩევი შეჯიბრების ჩატარების პრინციპს გავეცნოთ. პრინციპი ასეთია: შედგება ცხრა ჯგუფი (ხუთი ხუთგუნდიანი და ოთხი ექვსგუნდიანი), რომელთა გამარჯვებულები ავტომატურად მოიპოვებენ ფინალური ეტაპის საგზურს. პირდაპირ გამარჯვებულად ჩაითვლება მეორე ადგილზე გასულთა შორის საუკეთესო მაჩვენებლის მქონე ერთი გუნდიც, დანარჩენი რვა კი დაწყვილდება და შინ და სტუმრად, ორ შეხვედრაში გაარკვევს კიდევ ოთხ ფინალისტს. თუ დავითვლით, ვნახავთ, რომ შესარჩევი შეჯიბრება დაასახელებს თოთხმეტ ნაკრებს. მათ უკონკურსოდ დაშვებული ორი მასპინძელიც დაემატება და ეს თექვსმეტი გუნდი 2000 წელს კონტინენტის უძლიერესი გუნდის ტიტულისთვის ბრძოლის ბოლო ეტაპს ჩაატარებს.

განთესვის კრიტერიუმად უეფამ ევრო 96 და ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი აიღო. აქ იდგა ერთი საკითხი. რა ექნათ ქვეყნებს, რომელთაც ხსენებული ორი შეჯიბრების შესარჩევ ციკლში მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგან მასპინძლები იყვნენ? ასეთი ორი გახლდათ, ინგლისი და საფრანგეთი. ინგლისი მართალია ევრო 96-ის მასპინძელი იყო, მაგრამ შემდეგ, მსოფლიოს პირველობის შესარჩევში, ჯგუფში პირველი ადგილი მოიპოვა, უკან თვით იტალია მოიტოვა და ცხადია, რომ განთესვა ეკუთვნოდა. რაც შეეხება საფრანგეთს, ახლა მსოფლიოს პირველობას მასპინძლობს და ამიტომ მას შესარჩევ ეტაპზე არ უთამაშია, მანამდე, ევრო 96-ზე კი ნახევარფინალამდე მიაღწია. ეტყობა, უეფას ძალიან სურდა საფრანგეთის ნაკრების განთესილთა შორის შეყვანა, რადგან მისმა გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა განაცხადა:

— ჩვენ ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატამდე ჩავედით. გვაინტერესებდა, იქაური შედეგები რაიმე სხვაობას თუ მოგვცემდა. სხვაობა მართლაც იყო, მაგრამ საფრანგეთისთვის არასასურველი. ახლა შეიძლება სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდეთ თუ საფრანგეთმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ჩვენ კი პირველ ნომრად განთესილთა შორის არ გვეყოლა.

მაშ ასე, საფრანგეთი პირველ ნომრად განთესილთა შორის ვერ მოხვდა და როგორც აიგნერმა თქვა, უეფას სამომავლოდ სხვა კრიტერიუმების ძიება მოუწევს.

აღმასკომის სხდომამ განიხილა სხვა საკითხიც, რომელიც ასევე ეხება საქართველოს. ახლა საკლუბო გუნდების შეჯიბრებაზე, კერძოდ, ინტერტოტოს თასზე გესაუბრებით. მთავარი ისაა, რომ ევროპის ძლიერი საფეხბურთო ქვეყნების მიერ დაწუნებული ეს თასი კიდევ ორ წელიწადს ნამდვილად იარსებებს, მერე კი გამოჩნდება რა და როგორ. ევროპული ფეხბურთის შეფები იმედოვნებენ, რომ ამ ორ წელიწადში შეჯიბრებას პრესტიჟი მოემატება. კიდევ, საყურადღებო ისაა, რომ შეიცვალა მისი ჩატარების სისტემა. ამიერიდან, უწინდელივით ჯგუფები აღარ შეიქმნება. პირველ ეტაპს დაიწყებს 40 გუნდი, რომლებსაც წილისყრა დააწყვილებს. გამარჯვებული ოცეული და კიდევ 12 გუნდი, რომლებიც მაღალი კოეფიციენტის გამო პირველი ეტაპიდან თავისუფლები იყვნენ, ისევ დაწყვილდებიან და გაარკვევენ 16 გამარჯვებულს. მესამე ეტაპზე ამ 16-ს დაემატება ის რვა, პირველ ორ ეტაპში რომ არ მონაწილეობდა. ასეთი მეთოდით დაგროვებული 24 გუნდი გამოავლენს ჯერ 12, შემდეგ 6, შემდეგ კი 3 გამარჯვებულის ვინაობას და ეს სამეული უკვე უეფას თასის გათამაშებაში ჩაერთვება.

— ინგლისსა და პორტუგალიას ვერც ასეთი სისტემით მოვუგებთ გული, მაგრამ, ვგონებთ, საკითხის შემდგომი განხილვა ჩვენთვის სასურველ შედეგს მოიტანს. იტალიელების და ესპანელების რეაქცია უფრო დამაიმედებელი გახლდათ. ეტყობა, ახალ კრიტერიუმებს ჯერ ყველამ ვერ აუღო ალღო — თქვა აიგნერმა.

პროექტი ჯერ არ დამტკიცებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, დამტკიცდება. განსახილველია ინგლისის ლიგის თასის საკითხიც: დაუშვებენ თუ არა მის მფლობელს უეფას თასზე? ადრე უშვებდნენ, მომავალში — აღარ აპირებენ და ამან ინგლისელები ალაშფოთა, თუმცა დამნაშავენი თავად არიან. მათ ყურად არ იღეს უეფას მოთხოვნა, პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 18-მდე შეემცირებინათ. ეტყობა, ინგლისელები არჩევანის წინაშე დადგებიან: 20 გუნდი ან ლიგის თასის მფლობელის უეფაზე გასვლა.

დასადგენია იმ სამი ქალაქის სახელიც, რომლებიც მაისში ჩემპიონთა, უეფასა და თასების თასის ფინალურ შეხვედრებს უმასპინძლებენ.

ყველაფერი 17 დეკემბერს გადაწყდება.

## საშობაო საჩუქარი

ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციამ თავის ნაკრებს ახალი მწვრთნელი შეურჩია. ვინ? ამას აფრიკული ქვეყნის საფეხბურთო დიდმოხელენი არ ამხელენ. ნიგერიის საინფორმაციო სააგენტომ პარიზიდან გაავრცელა ცნობა, რომ საფრანგეთის დედაქალაქში მყოფმა ასოციაციის პრეზიდენტმა აბდულმუმინი ამინუმ, რომლის სახელსაც საერთაშორისო პრესაში საბოლოო ვარიანტი ველარ გამოეძებნა, თქვა, ახალი მწვრთნელის ვინაობას ჩემს ერს საშობაო საჩუქრად მივართმევო. ნოემბერში ამინუმ განაცხადა, რომ ასოციაციის ტექნიკურმა კომიტეტმა სავარაუდო მწვრთნელთა სიიდან ამოშალა გუნდის ყოფილი თავკაცი, ჰოლანდიელი ჯო ბონფრერი და უნგრეთის ნაკრების ოდინდელი ვარსკვლავი კალმან მესოლი. ინგლისური და ნიგერიული გაზეთები იმასაც წერდნენ, საქმე შეიძლება ავსტრალიელთა ხელმძღვანელმა ტერი ვენებლზმა იტვირთოსო, მაგრამ ეს ხმა რამდენჯერმე უარჰყვეს. შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ნიგერია, სექტემბერს მერე უმწვრთნელოდაა და თანამდებობიდან ფილიპ ტრუსიეს წასვლის შემდეგ მის შემცვლელს ეძებს. კენჭისყრას ნიგერიას, მსოფლიოს ჩემპიონატის D ჯგუფში ესპანეთთან, ბულგარეთთან და პარაგვაისთან პაექრობა არგუნა.

